გიორგი გოგსაძე •

მემარცხენე პოპულიზმი 2016-2020 წლების საპარლამენტო არჩევნებში: საბანკო სექტორის წინააღმდეგ მიმართული საარჩევნო გზავნილები

აბსტრაქტი

პოპულისტურ გზავნილებსა და დისკურსებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ქართულ პოლიტიკაში. პოპულისტური გზავნილები ყველაზე მეტად წინასაარჩევნო პერიოდში იკვეთება. პოპულისტურ რიტორიკას არაერთი პარტია მიმართავს მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

სტატიის მიზანს (2016-2020 წლების) საპარალამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების მიერ წინასაარჩევნო პერიოდში ბანკების წინააღმდეგ მიმართული პოპულისტური გზავნილების ანალიზი და დისკურსების იდენტიფიცირება წარმოადგენს. სტატიაში პოპულიზმი გაგებულია, როგორც დისკურსული სტილი, რომელიც პოლიტიკური აქტორებისთვის პოლიტიკური გამოხატვის ფორმაა და მას შერჩევით იყენებენ სხვადასხვა შეხედულებების მქონე პარტიები.

პოლიტიკური პარტიების ლიდერების და მათი წევრების საჯარო გამოსვლებში საბანკო სექტორის წინააღმდეგ მიმართულ გზავნილებში გვხვდებოდა იდეოლოგიური დისკურსის სხვადასხვა ელემენტები. ბანკების წინააღმდეგ იყენებდნენ პოპულისტურ დისკურსს - „ბანკები ხალხს ძარცვავენ“. აღნიშნული გზავნილებით და დისკურსებით გამოირჩეოდნენ საქართველოს ლეიბორისტული პარტია, სტრატეგია აღმაშენებელი, ტრიბუნა, მემარცხენე ალიანსი, სოლიდარობის ალიანსი.

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტი.

საკვანძო სიტყვები: პოპულიზმი, ბანკები, ოლიგარქები, პოლიტიკური პარტიები.

შესავალი

პოპულიზმი და პოპულისტური რიტორიკა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართულ პოლიტიკაში. სხვადასხვა პარტიები და პოლიტიკური ლიდერები იყენებენ პოპულისტურ გზავნილებს ამომრჩეველთა გულის მოსაგებად. დღეს უფრო მეტ პოლიტიკურ ძალას აქვს საშუალება საკუთარი ხედვები გააცნოს საზოგადოებას. ამის ძირითადი მიზეზი მედიის (როგორც ტრადიციული ასევე სოციალური) გარემოს მრავალფეროვნებაა. შესაბამისად, მწირი რესურსების მქონე და მარგინალურ პარტიებს მეტი შესაძლებლობა გააჩნიათ ამომრჩევლებს თავიანთი შეხედულებები და გზავნილები მიაწოდონ. მსგავსი ტიპის პარტიებს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ პოპულისტური გზავნილების და დისკურსების გასავრცელებლად.

საქართველოში არსებული კვლევები, ძირითადად ეთმობა ულტრამემარჯვენე, ანუ ნაციონალისტურ პოპულიზმს. ნაკლებად გვხვდება ნაშრომები მემარცხენე პოპულიზმთან დაკავშირებით. ქვეყანაში არსებული სოციო-ეკონომიკური გაჭირვებიდან გამომდინარე პოლიტიკოსები მემარცხენე პოპულიზმთან დაკავშირებულ საკითხებზე აპელირებენ, მიუხედავად ამისა, ის მაინც არ არის ისეთი რეზონანსული როგორც ნაციონალისტური პოპულიზმი.

სტატიის მიზანია (2016-2020 წლების) საპარალამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო მემარცხენე პოპულისტური კერძოდ, ბანკების წინააღმდეგ მიმართული გზავნილების ანალიზი და დისკურსების იდენტიფიცირება. წინასაარჩევნო პერიოდში ყველაზე უკეთ იკვეთება პოპულისტური გზავნილები, განსაკუთრებით პარტიის ლიდერების სიტყვით გამოსვლების დროს, რომელზეც პოლიტიკური პარტიები ამახვილებენ ყურადღებას და ხალხის სახელით აპელირებენ ელიტის (ხელისუფლების) წინააღმდეგ.

კვლევაში ანალიზის ერთეულად გამოყენებულია პოლიტიკოსების საჯარო გამოსვლები და ინტერვიუები შემდეგ სატელევიზიო არხებსა და რადიოზე: რუსთავი 2, ტვ ფორმულა და რადიო თავისუფლება, სადაც საარჩევნოდ პარტიები საკუთარ პოზიციებს და პროგრამებს აცნობდნენ ამომრჩევლებს. აღნიშნული მასალა განთავსებული იყო ამ პარტიების ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე და ონლაინ პლატფორმა "YouTube"-ზე. მასალის განზოგადების შედეგად შეირჩა ის პარტიები, რომლებიც ყველაზე მეტად იყენებდნენ საბანკო სექტორთან დაკავშირებულ პოპულისტურ გზავნილებს (ნარატივებს).

მეთოდად გამოყენებულია თოინ ვან დაიკის დისკურსის ანალიზის მიდგომა, კერძოდ იდეოლოგიური დისკურსის რა ელემენტებს მიმართავენ პარტიები განხილულ თემებზე მსჯელობისას. ავტორისთვის იდეოლოგიები ძირითადად, სოციალურად გაზიარებული რწმენის სისტემებია (Van Dijk, 2006, 177). იდეოლოგიური მნიშვნელობის შეფასებისას დისკურსის შემდეგ ელემენტებზე უნდა მოხდეს ფოკუსირება: თემები, არგუმენტები, მოდალობა, ლოკალური თანმიმდევრობა, ნაგულისხმევი მნიშვნელობები, აქტორების აღწერა, მოვლენის და ქმედების აღწერის ხარისხი, უარყოფა და მეტაფორები (წულაძე, 2020, 282-284).

პოპულიზმი: კონცეპტუალური ჩარჩო

ლიბერალურ ელიტური ხედვის მიხედვით, პოპულიზმი ხშირად „დემაგოგიასთან" ან „მასობრივ" დემოკრატიასთან ასოცირდება. ფართო გაგებით პოპულიზმი არის ქმედება/იდეა, რომელიც ხალხს პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში აყენებს. უფრო ვიწრო გაგებით: „პოპულისტური პოლიტიკა წარმოადგენს პოლიტიკურ ქმედებას ან იდეას, რომელიც რეაგირებს ხალხი/ელიტის განსხვავებაზე" (Jakobson, 2012, 4-5).

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიდგომა, პოპულიზმს განმარტავს როგორც სტილს (ანუ დისკურსს). ამ შემთხვევაში პოპულიზმი არის ანტი-სტატუს კვო დისკურსი, სადაც პოლიტიკური

სივრცე გამარტივებულია, საზოგადოების ორად გაყოფით, ერთის მხრივ არის „ხალხი“ (როგორც დაჩაგრული) და მეორეს მხრივ, არიან „სხვები“ (Moffitt & Tormey, 2013, 5-6).

ლაკლაუსთვის სიმბოლური განსხვავება „ჩვენსა“ და „სხვებს“ შორის, რომელიც პოპულისტური დისკურსის შემადგენელი ნაწილია, წარმოადგენს კონკრეტული „ცარიელი აღმნიშნველის“ („empty signifiers”) შემთხვევას, რომელსაც შეუძლია მიიღოს მრავალი მნიშვნელობა სოციალური კონტექსტიდან გამომდინარე. პოპულიზმი თავისთავად არ არის იდეოლოგიური ორიენტაციის მანიშნებელი, ის უფრო გზაა პოლიტიკის კონსტრუქციისათვის. ეს მოსაზრება პოპულიზმის მინიმალისტურ არსს განსაზღვრავს. ანუ, პოპულიზმი არის პოლიტიკური ლოგიკა, რომელსაც ახასიათებს პოპულარული სუბიექტურობის თანმიმდევრული კონსტრუქცია, როგორიცაა „ჩვენ ხალხი“ მეტოქის „მათ, ელიტის“ წინააღმდეგ. ეს კატეგორიები იძენენ საკუთარ მნიშვნელობას „იდენტიფიკაციის“ (კლასიფიკაციის) პროცესისას, რამდენადაც გარკვეული სოციალური ჯგუფები გაგებულნი არიან როგორც „ხალხი“ (ჩვენ) და დაპირისპირებულნი მჩაგვრელ „სხვებთან“ (ისინი) (Gidron & Bonikowski, 2013, 10).[1]

კაზინის აზრით, პოპულიზმი არ არის იდეოლოგია, რომელიც ასახავს კონკრეტული პოლიტიკური აქტორების ძირითად რწმენას, არამედ ის პოლიტიკური გამოხატვის ფორმაა, რომელიც შერჩევით და სტრატეგიულად გამოიყენება როგორც მემარჯვენეების, ისე მემარცხენეების და სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების ადამიანთა მიერ. პოპულიზმი არის ენა რომლის მიმდევრებსაც ჩვეულებრივი ხალხი მიაჩნიათ კეთილშობილ ჯგუფად (კლასობრივი ბმის

[1] იმისთვის, რომ მოხდეს პოპულისტური დისკურსის იდენტიფიცირება აუცილებელია „ორი მინიმალური“ კრიტერიუმის დაკმაყოფილება: ცენტრალური მითითება „ხალხზე“; „ხალხისა“ და ელიტის ერთმანეთისგან გამოყოფა და ოპოზიცია. პოპულისტებისთვის პოლიტიკა კოლექტიური იდენტობების ცნებების ჩამოყალიბებას ცდილობს („ჩვენ“ „სხვების“ წინააღმდეგ) (Panayotu, 2017).

გარეშე), ისინი თვით დაინტერესებულ და არადემოკრატიულ ელიტებს უპირისპირდებიან (Gidron & Bonikowski, 2013, 8). სტატიაში პოპულიზმი გაგებულია აღნიშნული დისკურსული სტილის შესაბამისად.

მემარცხენე პოპულიზმი და ბანკების წინააღმდეგ მიმართული გზავნილები

მემარცხენე პოპულიზმი, ძირითადად, მიმართულია დიდი ბანკების წინააღმდეგ და მათ „დამარცხებას“/“დანაწევრებას“ (მაგ: ბერნი სანდერსის კამპანიის შემთხვევაში) გულისხმობს. ის ასევე მმართველი ელიტის წინააღმდეგაა მიმართული (მაგ: „პოდემოსი“ ესპანეთში), რომლებსაც დიდი ფინანსური მხარდაჭერა გააჩნიათ (Zabala, 2017). მემარცხენე-პოპულისტური პარტიები დაკავშირებულნი არიან დემოკრატიულ სოციალისტურ იდეოლოგიასთან, თუმცა ნაკლები დოქტრინალიზმი ახასიათებთ და უფრო მოქნილნი არიან (March, 2017). ძირითადად, ის არ არის განსაზღვრული პროგრამული ან იდეოლოგიური ტერმინებით (Gidron & Bonikowski, 2013, 12).

ბანკების პრივილეგიებზე და მათ საწინააღმდეგო გზავნილებით საქართველოს ლეიბორისტული პარტია გამოირჩეოდა. ქართულ ეკონომიკას ანგრევდნენ ბანკები თავიანთი ძალიან მაღალი საპროცენტო განაკვეთებით, საურავებით და იმ პოლიტიკით, რომელიც ბიზნესის მოხრჩობას ითვალისწინებდა. ნათელაშვილი თიბისი ბანკის მფლობელ ხაზარაძეს აბრალდებდა, რომ მან ჯერ ვალი მისცა უნივერმაღს განვითარებისთვის, ხოლო შემდეგ გააკოტრა, უამრავი თანამშრომელი უმუშევრად დატოვა და იმ ადგილას საკუთარი ოფისი განათავსა, სადაც ეს ყაჩაღური კანტორა არის განთავსებული (ლეიბორისტული პარტია, რუსთავი 2, 2016). ამ შემთხვევაში ვხვდებით აქტორთა ნეგატიურ აღწერას (აგრეთვე პირად თავდასხმას) და მეტაფორის გამოყენებას, რაც სიტყვა მოხრჩობის გამოყენებით ხდება.

ლეიბორისტული პარტიის გზავნილები ძირითადად მიმართულია ოლიგარქების და ოლიგარქიული მმართველობის წინააღმდეგ.[2] ოლიგარქია და მსხვილი ბიზნესი დაკავშირებულნი არიან, რომ ძალაუფლება და არსებული სისტემა შეინარჩუნონ. პარტიის გზავნილები მიმართულია მდიდარი ბიზნესმენების (ოლიგარქების) წინააღმდეგ; ისინი ვანო ჩხარტიშვილს სხვადასხვა ხელისუფლების დაფინანსებაში ადანაშაულებდნენ. ასევე, ანაბრებით[3] გაერთიანებული ქართული ბანკის ჩამოყალიბებას და მილიარდების შოვნას, ხოლო შემდეგ ამ ბანკის რუსებისთვის მიყიდვას, სადაც დევს ეს ფული, რომელიც ხალხს უნდა დაბრუნებოდა (ლეიბორისტული პარტია, რუსთავი 2, 2020). ამ შემთხვევაში მცდელობაა, რომ ბანკების, ბანკირების და ოლიგარქების საქმიანობა დაუკავშირდეს რუსეთს (რაც ნაციონალისტურ ელფერს იღებს) და მოხდეს ყურადღების გადატანა რუსეთზე და ასოციაცია გაივლოს ოკუპაციასთან.

ლეიბორისტული პარტიისთვის დღეს არსებული სახელმწიფო მმართველობა ოლიგარქების და ბანკირების სასარგებლო იყო და მათ ინტერესებს ემსახურებოდა. ქვეყნის სათავეში ხალხის მიერ არჩეული საშუალო ფენა უნდა ყოფილიყო და არა ოლიგარქები. ნათელაშვილის (ლეიბორისტული პარტია, რუსთავი 2, 2016) თქმით, ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც ბანკი (ქართუ ბანკი) 1700%-იან მოგებით ასრულებს წელიწადს, მის ნაციონალიზაციას მოახდენდნენ, ხოლო მის მფლობელს ციხეში ჩასვამდნენ, განასკუთრებით მაშინ როდესაც ხალხი შიმშილობს. ქვეყანას ჰყავდა უამრავი ბანკირი პრემიერ-მინისტრი, ის მათ „ბანდიტებად“ მოიხსენიებდა, მათ წაიღეს ეროვნული სიმდიდრე, ხოლო პენსიონერი შიმშილობდა. მოწოდებაში მთავარი თემა ბანკების და ბანკირების ნეგატიური აღწერაა.

[2] ლეიბორისტები ვანო ჩხარტიშვილს ანაბრების მოპარვას აბრალებდნენ, ხოლო სხვა მდიდარ ბიზნესმენებს სხვადასხვა დარგების მონოპოლიას და პოლიტიკის გამოყენებით სხვების არათანასწორ მდგომარეობაში ჩაყენებას (ნათელაშვილი, ტვ პირველი, 2016).

[3] იგულისხმება მოპარული ანაბრები

ერთის მხრივ არიან ბანკირები და ოლიგარქები, ხოლო მეორეს მხრივ ხალხი, რომელსაც წარმოადგენს, საშუალო ფენა და გაჭირვებული ადამიანები.

პარტიის ლიდერი ასევე მიმართავს სოციალისტურ გზავნილებს ბანკების ნაციონალიზაციასთან დაკავშირებით. ის გამიზნულია გაჭირვებულ აუდიტორიაზე, რომ არ შეიძლება ბანკს ჰქონდეს ამხელა მოგება. ხდება სასურველის რეალობად წარმოჩენა, სადაც მთავარი არგუმენტია, რომ ბანკი ამხელა მოგებას კანონიერი და სამართლიანი გზით ვერ შეძლებდა. ეს ყოველივე „ბანკები ხალხს ძარცვავენ“ დისკურსია.

საქართველოს ლეიბორისტული პარტია აღნიშნავდა, რომ პენსიონერებს ძალიან მაღალი საპროცენტო განაკვეთი ეკისრებოდათ ლიბერთი ბანკის მიერ (რომელიც მათი თქმით, ივანიშვილის ეკუთვნოდა) და ის მომსახურებაში 5 მილიონ ლარს იღებდა. პარტია ამას წარმოუდგენელ ძარცვად და სისხლის სამართლის დანშაულად მიიჩნევდა. მათი შემოთავაზებით საპროცენტო განაკვეთი უნდა განულებულიყო, ხოლო ლიბერთი ბანკს არ უნდა ჰქონოდა უფლება ჩვენი ფული გაეპროცენტებინა და ამით ფული მოეგო. „საპენსიო ფონდი დადეს ბანკების დეპოზიტებზე, ბანკები ატრიალებენ, იღებენ უზარმაზარ მოგებას“ (ლეიბორისტული პარტია, ტვ ფორმულა, 2020). პენსიონერებთან დაკავშირებით, მოვლენების აღწერილობის კუთხით აქცენტი კეთდება, რომ ბანკები ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების ხარჯზე შოულობენ ფულს და მდიდრდებიან, რაც შეფასებული იყო როგორც ამორალური, ძარცვა და დანაშაული. მსმენელში ნეგატიური ასოციაციის გამოსაწვევად ნახსენებია „ჩვენი ფულის“ გაპროცენტება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბანკები მევახშეობით მდიდრდებიან. ნაგულისხმევი მნიშვნელობით, ბანკები თანხმობაში არიან ხელისუფლების წარმომადგენელებთან და ისინი უბრალო ხალხის ხარჯზე ცხოვრობენ.

სტრატეგია აღმაშენებლის ლიდერის თანახმად, „არსად არ არის ამხელა მოგება. ჩვენ კითხვა უნდა დავსვათ, რამ გამოიწვია ის, მე ბანკებს კი არ ვერჩი, არცერთ შემთხვევაში. რა პოლიტიკამ, რა გა-

დადგმულმა ნაბიჯებმა გამოიწვია ეს, რომ ასე მოხდა ქვეყანაში (სტრატეგია აღმაშენებელი, ფორმულა ტვ, 2020).“ აქ ადგილი აქვს უარყოფას, პარტიის ლიდერს სურს წარმოჩნდეს, რომ სინამდვილეში ის ბანკებს კი არ ერჩის, არამედ ხელისუფლების/ელიტის არასწორ პოლიტიკას, თუმცა შემდგომ აგრძელებდა ბანკების კრიტიკას. ეს მძიმე ვითარება, ბანკების ძალიან მაღალი პროცენტები, გამოიწვია ხელისუფლების ქმედებამ, რომ დამნაშავე უპირველეს ყოვლისა ხელისუფლებაა. პარტია ეროვნული ბანკის წინააღმდეგ აღნიშნავდა, რომ მათმა ლარიზაციის პოლიტიკამ ბოლო წლებში საბანკო სექტორის მოგება სამჯერ გაზარდა და ყოველწლიურად მილიარდამდე ავიდა, რადგან ადამიანები დაავალდებულეს, რომ ბანკში სესხი ლარში აეღოთ (სტრატეგია აღმაშენებელი, ფორმულა ტვ, 2020). აღსანიშნავია, რომ გზავნილში იკვეთება აქტორთა ნეგატიური კუთხით აღწერა, რაც უბრალო ხალხის ხარჯზე ხდება. არსებულ ვითარებაში პოლიტიკურ ელიტას მიუძღვის ბრალი.

სტრატეგია აღმაშენებელის საარჩევნო დაპირებებს შორის პენსიონერებისთვის უსამართლოდ მაღალი 36%-იან სესხის ჩამოწერას ვხვდებოდით, საიდანაც პირდაპირი წილი ქართულ ოცნებას მისდიოდა (სტრატეგია აღმაშენებელი, რუსთავი 2, 2020). ამ შემთხვევაშიც ფინანსური და პოლიტიკური ელიტა დაკავშირებულია და ხალხის ინტერესებს არ ითვალისწინებენ, გზავნილები „ბანკები ხალხს ძარცვავენ“ დისკურსის ნაწილს წარმოადგენს.

„ჩვენები - სახალხო პარტია“ ბანკების მოქმედებას მოსახლეობის მიმართ დამპყრობლებს ადარებდა, „მეტი კი არაფერი გაუკეთებია შაჰ-აბასს, მოდიოდა და ჩეხავდა ყურძენს და მიჰქონდა პური. ეს სხვა ფორმით, 21-ე საუკუნის მისაღები ფორმით“ (გიორგაძე, 2016). საქართველოში საბანკო პროცენტები ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო რეგიონში გიორგაძის (2016) განცხადებით, ქვეყანაში არ იყო ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგულირების ნება, რომლითაც გარკვეული პირები სარგებლობდნენ. ამასთან, გაუბედურებული ქართველი ხალხი საკუთარი ბავშვების კეთილ-

დღეობის და განათლების მიზნით, სესხს იღებდნენ მძიმე პირობებით და რთულ ვითარებაში ვარდებოდნენ.

პარტია „დავით თევზაძე - საქართველოს მშვიდობისთვის“ ბანკების ქმედებას ოკუპაციას ადარებდა. კერძოდ ბანკები ხალხს უბინაოდ ტოვებდნენ და მათი რაოდენობა უფრო მეტი იყო ვიდრე დევნილების, ხდებოდა მათი მდგომარეობას დევნილების მდგომარეობასთან გაიგივება. საბანკო სექტორის განვითარება ქვეყნის გაღარიბების ხარჯზე მოხდა; საქართველოში, მხოლოდ მონოპოლიური ბიზნესები განვითარდა, ხოლო საგადასახადო კოდექსი ხელს უშლიდა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას (თევზაძე, 2016). ნეგატიური ასოციაციის მიზნით, ბანკების ქმედება აღწერილია და გათანაბრებულია ოკუპანტებთან, რომლებმაც ხალხი უსახლკაროდ დატოვეს. შესაბამისად, ბანკები წარმოდგენილნი არიან როგორც შიდა მტრები, რომლებიც უბრალო ხალხის გასაჭირზე ცხოვრობენ. ქმედების აღწერილობის კუთხით, ისევე როგორც სახალხო პარტიის შემთხვევაში, ბანკების ქმედება გათანაბრებულია ქვეყნის დაპყრობასთან, ოჯახების მძიმე ვითარებაში ჩაგდებასთან, ხალხის ძარცვასთან და მათი სახლებიდან გაძევებასთან. პოპულისტურ გზავნილებში ელიტა მხოლოდ საკუთარ მოგებაზე და კეთილდღეობაზე არის ორიენტირებული, ის მსხვილი და მონოპოლიური ბიზნესის მხარეზეა და დაპირისპირებულია მცირე და საშუალო ბიზნესთან. პრივილეგია ენიჭება ბანკებს და არა საშუალო და მცირე ბიზნესს, სისტემა მორგებულია ბანკების განვითარებაზე. ეს გზავნილები „ბანკები ხალხს ძარცავენ“ დისკურსის ნაწილია.

ზოგიერთ პარტიის დისკურსში ბანკები წარმოადგენენ მონოპოლიური ეკონომიკის და ქვეყნის განვითარების შემაფერხებელ კრებით სახელს. კერძოდ, ქართული იდეა დამოუკიდებელ საქართველოში ეკონომიკის განუვითარებლობას უკავშირებდა კარტელურ გარიგებებს და მაფიოზური კლანების არსებობას, რომლებიც გაჭირვებული ხალხის ხარჯზე მდიდრდებოდნენ. ქვეყანა შედარებული იყო დიდ ბანკთან, სადაც მხოლოდ ბანკები, კაზინოები, ტოტალიზატორები და მსხვილი ბიზნესი მუშაობდა (ჩაჩუა, 2016). ად-

გილი აქვს აქტორთა ნეგატიურ აღწერას მაფიოზური კლანების ხსენებით. მემარცხენე პოპულისტური გზავნილებში უბრალო ხალხი სოციო-ეკონომიკურად დაბალი (ან საშუალო) შემოსავლის მქონე ადამიანები არიან, მათ უპირისპირდება მსხვილი ბიზნესი, ბანკები, კორპორაციები, რომლებსაც ძალზედ დიდი შემოსავალი გააჩნიათ. ნაგულისხმევი მნიშვნელობით, ისინი გაჭირვებული ადამიანების კეთილდღეობის ხარჯზე ცხოვრობენ.

პოპულისტური გზავნილები ბანკების გარდა სამიზნედ მსხვილ ბიზნესს იღებს, რომელიც კავშირშია მაღალჩინოსნებთან. მემარცხენე ალიანსის თანახმად, ბანკები და მსხვილი ბიზნესი პასუხისმგებელნი იყვნენ მონოპოლიებისა და კარტელური ეკონომიკის ჩამოყალიბებაში, რაც საშუალო და მცირე ბიზნესს აზარალებდა. საჭირო იყო კანონის მიღება, რომელიც დაიცავდა და განავითარებდა მცირე ბიზნესს. „აი ამ მსხვილმა კომპანიებმა ფაქტიურად შეჭამეს და დაახრჩვეს მცირე და საშულო ბიზნესში დაკავებული ადამიანები“ (ჯიბლაძე, 2016). ქმედების აღწერილობის ხარისხი და მეტაფორა - მსხვილი კომპანიების საქმიანობა პირდაპირ მიმართულია მცირე ბიზნესის წინააღმდეგ, რომელიც მათ „შეჭამეს“ და „დაახრჩვეს“ იქ მშრომელ ადამიანებთან ერთად.

პარტია ტრიბუნას ლიდერის ჭიჭინაძის (2020) მიხედვით, საქართველოში სახელმწიფო ინსტიტუტებს (მაგ., სამინისტროებს), სხვადასხვა ფინანსური ჯგუფები აკონტროლებდნენ და თავიანთ ინტერესებს ატარებდნენ; იგი მიიჩნევდა, რომ ბანკებისთვის არაპროფილური საქმიანობა უნდა აკრძალულიყო. ანტისაბანკო გზავნილებში გვხვდებოდა ანაბრების დაბრუნების საკითხი. ტრიბუნას გზავნილების მიხედვით, აქცენტი კეთდება ფინანსურ ელიტასა და ინსტიტუტებზე, რომლებიც მართავენ ქვეყანას და ხდება ხალხის ძარცვა. ნაგულისხმევი მნიშვნელობით, ფინანსურ ჯგუფებში ძირითადად ბანკები, მდიდრები და ოლიგარქები მოიაზრებიან. მუხაშავრიას (2020) აზრით, „არაფერი არ იყო სადაო“, რომ ქვეყანაში შეექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარება ბანკებისა და მათ მონოპოლიების გამო ხდებოდა; ის მათ აბრალებდა ქვეყნის და ხალხის გაძარ-

ცვას, რომელიც ხელს უშლიდა ბიზნესის განვითარებას, ხოლო საბანკო და სხვა კლანური მონოპოლიები, უშუალოდ ხელისუფლების ან მისი მონაწილეობით იყო შექმნილი. აქტორთა ნეგატიურ აღწერასთან ერთად, ამ შემთხვევაშიც ხდება ბანკების და მსხვილი ბიზნესის დაკავშირება კლანებთან, რომლებიც ერთმანეთთან თანხმობაში არიან და ძარცვავენ ხალხს, რაც სადაო არ არის და ყველამ იცის, რომ ბანკები მძარცველები არიან (ხდება საყოველთაო ცოდნაზე აპელირება); მათ ბრალდებათ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემები და ბიზნესის განვითარების შეფერხება. მათი მონოპოლიების გარეშე სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება.

სოლიდარობის ალიანსის წარმომადგენლის, ფოფხაძის (2020) განცხადებით, ქვეყანას ფინანსური მონოპოლიები აკონტროლებდნენ, რაც ბანკების მიერ ხალხის და ბიზნესის „ტერორში", „ძარცვაში" და „ჭამაში" აისახებოდა, ხალხი მათ მძევლად იქცა. ქართველ ხალხს უნდა დაბრუნებოდა საქართველო. ის ამ მდგომარეობას სახელმწიფოს აბრალებდა, რადგან ბაზარზე არ არსებობდა სწორი რეგულაციები. მისი თქმით, ბანკებს არაპროფილური საქმიანობა არ უნდა ეწარმოებინათ და ბიზნესის ფუნქცია საკუთარ ხელში არ უნდა ჩაეგდოთ. ადგილი აქვს ნეგატიურ აღწერას, ქმედების აღწერილობის დონით მათი საქმიანობა წარმოდგენილია, როგორც „ტერორი" რაც ნეგატიური ასოციაციის აღძვრის მიზნით ხდება. ამ შემთხვევაშიც (ისევე როგორც სტრატეგია აღმაშენებლის) გზავნილები მიმართულია პოლიტიკური ელიტის წინააღმდეგ, რომელიც ფინანსურ ელიტასთან თანხმობაშია და მათი ერთობლივი ქმედებით ხდება რომ ბანკები უბრალო ხალხის და (საშუალო და მცირე) ბიზნესის ხარჯზე მდიდრდება. აღნიშნულ გზავნილებში „სხვა" არის როგორც პოლიტიკური ელიტა, ასევე ბანკები.

დასკვნა

მემარცხენე პოპულისტურ გზავნილებში ხალხი არის ჩაგრული, ისინი ძირითადად გაჭირვებული (ან საშუალო) სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე ადამიანები არიან, ისინი ჩაგვრას განიცდიან ბანკებისგან, რომლებიც უსამართლოდ დიდ საკრედიტო პროცენტებს აკისრებენ და მათი კეთილდღეობის ხარჯზე ცხოვრობენ. ამასთან ერთად, ზოგიერთი პარტიის გზავნილებში ხალხში მოიაზრება, ყველაზე მოწყვლადი ჯგუფები (მაგ., პენსიონერები); ასევე მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელიც მსხვილი ბიზნესის კარტელური გარიგებების მსხვერპლია და ვერ ვითარდება. შესაბამისად, უბრალო ხალხი წარმოადგენს სხვადასხვა ფენებს და ჯგუფებს (ხანდახან ბიზნესს) და ის დაპირისპირებაშია ფინანსურ და პოლიტიკურ ელიტასთან.

პოპულისტურ გზავნილებში აქცენტი კეთდება იდეოლოგიური დისკურსის შემდეგ ელემენტებზე; კერძოდ, აქტორთა ნეგატიურ აღწერაზე, ქმედების აღწერის ხარისხზე, ნაგულისხმევ მნიშვნელობებზე, უარყოფასა და მეტაფორებზე. არგუმენტების შემთხვევაში ვხვდებით მათი ქმედებების შედარებას ოკუპანტებთან (ანუ ერთგვარ ჰიპერბოლას). ზემოთაღნიშნული პოპულისტური გზავნილები „ბანკები ხალხს ძარცავენ“ დისკურსების ნაწილია. 2016 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მას სხვადასხვა პარტიები მიმართავდნენ; მათ შორის გამოირჩეოდნენ საქართველოს ლეიბორისტული პარტია, სტრატეგია აღმაშენებელი, ტრიბუნა, სოლიდარობის ალიანსი, ქართული იდეა, ჩვენები - სახალხო პარტია, დავით თევზაძე - საქართველოს მშვიდობისთვის. აღნიშნული გვაჩვენებს, რომ ანტისაბანკო პოპულისტურ გზავნილებს სხვადასხვა შეხედულებების და იდეოლოგიის მქონე პარტიები მიმართავდნენ როგორც ინსტრუმენტს საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

გიორგაძე, მ. (2016. სექტ, 8). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/saubari-mamuka-giorgadzestan/27974856.html

თევზაძე, დ. (2016. სექტ, 13). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/saubari-davit-tevzadzestan/27983949.html

მუხაშავრია, ლ. (2020. ოქტ, 22). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. https://www.facebook.com/dilissaubrebi/videos/1256238411400700/

Rustavi 2. 2020, ოქტ, 9. სტრატეგია აღმაშენებელი. არჩევნები 2020 - ღამის კურიერი. (ვიდეო) YouTube. https://www.youtube.com/watch?v=ZaM0xk9pPLY

Rustavi 2. 2020, ოქტ, 6. საქართველოს ლეიბორისტული პარტია. არჩევნები 2020 - ღამის კურიერი. (ვიდეო) YouTube. https://www.youtube.com/watch?v=N8wHlPJIJLU

Formula News. 2020, ოქტ, 26. *საქართველოს ლეიბორისტული პარტია - საქართველო ირჩევს.* (ვიდეო). YouTube. https://www.youtube.com/watch?v=yfqiLRr79GE

Formula News. 2020, ოქტ, 27. *სტრატეგია აღმაშენებელი - საქართ-ველო ირჩევს.* (ვიდეო). YouTube. https://www.youtube.com/watch?v=brTHXSycZRI

ფოფხაძე, გ. (2020. ოქტ, 1). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფ-ლება. https://www.facebook.com/dilissaubrebi/videos/389920928690028

ჩაჩუა, ლ. (2016, სექტ, 6). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/saubari-levan-chachuastan/27969749.html

წულაძე, ლ. (2020). *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთო-დები.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჭიჭინაძე, დ. (2020. ოქტ, 8) (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. https://www.facebook.com/dilissaubrebi/videos/672352387015960

Georgian Labour Party. 2016. ივლ, 7. შალვა ნათელაშვილი, ინგა გრიგოლიას გადაცემა. (ვიდეო). YouTube. https://www.youtube.com/watch?v=HjCDFfXr4XQ

Georgian Labour Party. 2016, სექტ, 23. ლეიბორისტული პარტიის წარდგენა გადაცემაში „არჩევანი 2016“. (ვიდეო). YouTube. https://www.youtube.com/watch?v=T2uyUU1CSww

ჯიბლაძე, პ. (2016. სექტ. 12). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. https://www.radiotavisupleba.ge/a/saubari-paata-jibladzestan/27982083.html

Gidron, N., & Bonikowski, B. (2013). Varieties of Populism: Literature Review and Research Agenda. *The Weatherhead Center for International Affairs*(13-0004).

Jakobson, M.-L. (2012, November). Populism in the Baltic States. *Open Estonia Foundation, Tallinn University*.

Luke March on Left Populism. (2017, July 24). Retrieved from Political Observer on Populism: https://populismobserver.com/2017/07/24/interview-17-luke-march-on-left-populism/

Moffitt, B., & Tormey, S. (2013). Rethinking Populism: Politics, Mediatisation and Political Style. *Political Studies Association.* doi:doi: 10.1111/1467-9248.12032.

Panayotu, P. (2017, January 6). *Transnational Left-wing Populism*. Retrieved from Political Observer on Populism: https://populismobserver.com/2017/01/06/transnational-left-wing-populism-a-response-to-trumps-victory/

Santiago Zabala. (2017, January 17). The difference between right and left-wing populism. Retrieved from www.aljazeera.com: http://www.aljazeera.com/indepth/opinion/2017/01/difference-left-wing-populism-170112162814894.html

Van Dijk, T. (2006). Ideology and Discourse. *Journal of Political Ideologies*, 175-196.

Giorgi Gogsadze

The Leftist Populism in The Parliamentary Elections of 2016 and 2020: Electoral Slogans Against the Banking Sector

Abstract

Populist narratives and discourses occupy an important place in Georgian politics. Populist narratives are most prominent during the electoral campaign. Many parties use populist rhetoric in order to gain support.

The goal of the article is to analyze and identify the populist narratives and discourses which were directed against banks employed by the political parties. For this purpose, electoral campaign of Parliamentary elections of 2016 and 2020 were chosen. In the article, populism is understood as a discursive style that is a form of political expression for political actors, and is selectively used by parties with different views.

Different elements of ideological discourse were employed in the narratives directed against the banking sector in the public speeches of the leaders and members of political parties. The populist "banks rob people" discourse was used against banks. Labor Party of Georgia, “Strategy Aghmashenebeli”, “Tribune”, Leftist Alliance, Solidarity Alliance employed the above mentioned narratives and discourses.

Key words: Populism, Banks, Oligarchs, Political Parties